ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3808683

ნომერი: AR1573703

თარიღი : 30.01.2018

გაცემის თარიღი : 05.02.2018

გაცნობის თარიღი : 07.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , ჩიხი II , N 4 , (ნაკვ.N5/21) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ თურმანიძე პ/ნ 01017022923
- თბილისი გ.ტაბიძის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 30 იანვარს №AR1573703 განცხადებით მომართა ზურაბ თურმანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 27

დეკემბრის №3758042 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებით, შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სექტორი - კრწანისი, გორგასლის ქუჩა, ჩიხი II, №4-ში (ნაკვ.N5/21) მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ: № 01.18.09.005.021), სასტუმროსა და სასტუმროს აპარტამენტების არქიტექტურული პროექტი და სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 27 დეკემბრიდან 2019 წლის 27 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საერთო ფართობად 15226.13კვ.მ- ის ნაცვლად 13436.64 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 177.87 კვ.მ-ის ნაცვლად 227.87 კვ.მ-ის, კომერციული ფართობად 765.94 კვ.მ-ის ნაცვლად 722.68 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 861.18 კვ.მ-ის ნაცვლად 646.03 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 148.66 კვ.მ-ის ნაცვლად 132.29 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3970.18 კვ.მ-ის ნაცვლად 1908.14 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 881.08 კვ.მ-ის ნაცვლად 2028.35 კვ.მ-ის, აუზის ფართობად 222.51 კვ.მ-ის ნაცვლად 172.58 კვ.მ-ის, სასტუმროს ნომრების ფართობად 4001.26 კვ.მ-ის ნაცვლად 3735.86 კვ.მ-ის, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობად 4158.29 კვ.მ-ის ნაცვლად 3862.84 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 13436.64 კვ.მ, საოფისე ფართობად 227.87 კვ.მ, კომერციული ფართობად 722.68 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 646.03 კვ.მ, სარდაფის ფართობად 132.29 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1908.14 კვ.მ, დამხმარე ფართობად 2028.35 კვ.მ, აუზის ფართობად 172.58 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობად 3735.86 კვ.მ, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობად 3862.84 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 30 იანვრის №AR1573703 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 დეკემბრის №3758042 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.